№ 220

პარასკევი, 13 ოქტომბერი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 220

პარასკევი, 13 ოქტომბერი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227



## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (166—1891—10)



**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**

## საგანგებო კრება

თანახმად საზოგადოების წესდების § 11-ისა, დანიშნულია 29 ღვინობისთვეს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1, არჩევანი სარევიზიო კომისიისა მიმდინარე წლის წლიურის ანგარიშის შესამოწმებლად;

2, არჩევანი კომისიისა, რომელმაც უნდა გამოძებნოს საშუალებანი საზოგადოების ახლანდელის სკოლების გასაუმჯობესებლად და ახლების დასაარსებლად;

3, დამატებულის ხარჯის გადადება;

და 4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

(6—2).



21 ოქტომბერს გამართული იქნება ბათუმში მემკვიდრე ცესარევიჩის საქალაქო ბულვარზედ ლატარია-ალეგრი „**ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების ბათუმის სკოლის** სასარგებლოდ.

ამ სკოლის სამზრუნველო გამგეობა დიდად იმედოვნებს, რომ ყველა შეეწევა მას, რითაც-კი შეეძლება.

შემოწირულებას მიიღებენ: კნეინა ნ. გ. შარვაშიძისა და ქ-ნნი: ნ. ა. დუმბაძისა, მ. კ. მხეიძისა, ნ. დ. ბერძენიშვილისა და თ. ი. საბაევისა. (3—1).



**სამეურნეო სკოლაში კურსდამთავრებული** 4 წლის პრაქტიკის მქონი, სხვათა შორის, მცოდნე მეფუტკრეობისა, ეძებს ადგილს. ადრესი „ივერიის“ რედაქციაში. (3—6.—1).


# ახალი ამბავი

*** ამ თვის 21-ს ქ. ბათუმში მემკვიდრე ცესარევიჩის საქალაქო ბულვარზედ გამართული იქნება ლატარია-ალეგრი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ ბათუმის სკოლის სასარგებლოდ.

*** 1893 წ. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების კრებაზედ გარდასწყვიტეს ეთხოვნათ უწმიდესის სინოდისათვის, რათა კავკავის საეპარქიო სამრევლო და ზოგიერთა სკოლები, რომელთაც ხარჯი ეძლეოდათ აქაურის ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისაგან, თავისის ხარჯით შეენახა, ე. ი. ხაზინიდგან დაენიშნათ ჯამაგირები იმ აზრით, რომ ზემოხსენებული საზოგადოება დარჩენილის ფულით მიშველებოდა საქართველოს საექსარხოსოს განაპირა კუთხეებს, მაგალითად: ფშავ-ხევსურეთსა, სვანეთსა, აფხაზეთსა და სხვ. შველა იმაში მდგომარეობდა, რომ ხსენებულ ადგილებში გაეხსნათ არდონის სასულიერო სასწავლებლის მაგვარი სკოლა, საიდგანაც მოწაფეებს შესძლებოდათ გადმოსვლა პირდაპირ ტფილისის სასულიერო სემინარიის რომელსამე კლასში. პირველი მუხლი საზოგადოების აზრისა, როგორც შევიტყეთ, უკვე განხორციელებულა, ე. ი. უწმიდესის სინოდის განკარგულებით, თანახმად აქაურის საზოგადოების თხოვნისა, მომავალის წლის იანვრიდგან კავკავის სამ საეპარქიო საბლაღოჩინო მრევლს, რომელთაც ეძლეოდათ წელიწადში 13,380 მან. და აგრეთვე ხუთ სკოლას, რომელთაც ეძლეოდათ 2,775 მან., ფული მიეცემათ სახელმწიფო ხაზინიდგან. ამგვარად აქაურს საზოგადოებას ეზოგება 16,155 მ., რომლითაც შეუძლიან განახორციელოს მეორე მუხლი თავისის განზრახვისა.

*** ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დაიწყება 16 ოქტომბერს. თხოვნები მიიღება 14 ოქტომბრამდის. ვინც სასწავლებელში იცხოვრებს, წლიურად გარდაიხდის 150 მანეთს. სასწავლებელში მიიღებიან აგრეთვე გარედგან მოსიარულე მოწაფეებიც, ხოლო ამ უკანასკნელთ დილიდგან საღამომდის უნდა დაჰყონ, ამიტომ მათ სადილი თვით სასწავლებელშივე მიეცემათ თვეში 5 მანეთად. ამ წელს სასწავლებელს 14 მოწაფე გაათავებს.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება იწვევს მსურველს ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის მოურავის თანამდებობაზედ. მსურველს გათავებული უნდა ჰქონდეს რომელიმე სამეურნეო საშუალო ან უმაღლესი სასწავლებელი, ან პრაქტიკულად უნდა ჰქონდეს შესწავლილი მეურნეობა. წლიური ჯამაგირი 900 მან. იქნება; მოურავს შეუძლიან ერთსა და იმავე დროს მასწავლებლადაც იყოს ამავე სასწავლებელში.

## კორესპონდენცია.

**სოფ. დისევი**, (გორის მაზრა). ამ სოფელში მოხდა ერთი საზარელი ამბავი. მღვდელ გაბრიელ ბეს—ძეს ოქროპირიძეს ხუთ ოქტომბერს საღამოს ოთხ საათზედ დაეცნენ სამი გაცვივნული ავაზაკი. ჯერ ბერდენკები ისროლეს იქვე მღვდლის ბაღის ახლო. ამ სროლაზედ ხალხი ძალიან დაწიოკდა და ყველა ტირილით და გინებით სახლებიდგან გამოცვივდნენ. მოძღვარს ოცი თუმანი ფული შეუთვალეს, მაგრამ რადგანაც ამ მღვდელს არც ფული ჰქონდა და არც გაუგზავნა, ამისთვის ეს საზიზღარი სტუმრები ეწვივნენ იმის ოჯახს. სახლში მყოფები და მეზობლები ერთ ვერსზედ გაიქცნენ და იქიდგან უყურებდნენ თავიანთ სახლებს. ერთი მათგანი ავაზაკი თამაშობით ავარდა მეორე სართულში და კარებს მტვრევა დაუწყო. თუმცა ხალხი მოგროვდა, მაგრამ იმის სახლი ისევ იმის ნაყარაულებელმა კაცმა დაიცვა, რომელიც იყო გიორგი ივანეს ძე ოქროპირიძე. თავისს სიმამაცით გასწირა თავი და ესროლა თოფი და ის თავ-მომწონე ავაზაკი, ესე იგი, როგორც გავიგეთ, ყოფილა ილიკო ფუხაშვილი, კიბიდგან გორაობით ჩამოაგდო. დასჭრა ბეჭში. დაჭრილი ავაზაკი ამხანაგებმა წაათრიეს და ნიშნად ამ ავაზაკს დარჩა ქუდი და ხელსახოცი. ავაზაკები დისევის ტყეში იმალებიან.

1895 წ.

## აგარცინის მონასტერი.

ასე 14—15 ვერსის მანძილზედ დილიჯნის აღმოსავლეთ მხარეს ვიწრო და ხშირ ტყით შემოსილ ღელეში მდებარეობს სომხის მონასტერი „აგარცინი“. ამ მონასტერში ცხოვრობს აგერ 32 წ. „სოფლის ამაოებას“ განშორებული 70 წლის მოხუცი ბერი პოგოსტერ მარქარია-

# ფელეტონი

***

სულ არ მივსტირი გაზაფხულსა,
ვარდს, ზამბახს, იას...
და არც ვიგონებ სინანულით ბულბულთა წკრიალს,
როგორ ვიგლოვო ყვავილთ ჭკნობა,
დაძაბუნება,
მათზედ შემხმარი დილის ცვარი,
ველთ გახუნება;
როს ყვავილის წილ კვლავ იმედი
მიღვივის გულსა,
როს ბულბულის წილ მეგობართ ხმა
ესმის მამულსა,
როს ხალხის გულში სიმართლის ხმა
დღეს იფურჩქნება,
ჰსუსხავს ზამთარი, მაგრამ იგი მაინც
არ სჭკნება!

ი. ევდოშვილი.

## ხალხის ცხოვრებიდგან.

შემდეგი*)

### V

— მაშ კარგი, მე გეტყვი იგრევ, —დაამშვიდა მარეხიმ: ჯერ იგეთ რასმე ვიხერხებ—თავის ნებითაც მიგათხოვონ გაიოზს, თუ იმან არ გაჰკრა, ახლა სხვას ვიმჭკვავნებ, და თუ იმასაც გაუწყრა ჩემი ცოდვა და ქათალიკოზი, მაშინ-კი მოგიტაცოს, ჩემო ქალაიავ, გაიოზმა და ჯვარი იგრე დაიწერეთ. ღმერთო, კეთილის ყურით გაიგონე და წყალობის თვალით გადმაიხედე ჩვენყენაც, შენი მადლის ჭირიმე და შენი სახელისა!

— უი! უწინამც დღე გამიქრეს!.. შეეზარა თიკოს, შავად აგიზგიზებული თვალები რაღაც ფიქრებით აევსო და ჩაგულისხმდა.

— იი, ქაა! რა ძალიან იუკადრისე! შენითანა აღარ იყო როყრაყაანთ მზეთ-უნახავივით ქალი თავიაანთ ვიღაცა გამოფხეკილ მოურავთან რო გაიქცა და ჯვარი დაიწერა. ის უფრო პეწენიკა-პრწყინვალე თავადის ქალი არ იყო?!.

— რაო, რა ჰთქვი?—ისე დაბნეულად იკითხა თიკომ, თითქოს ღრმად ნაშძინარევს გამოეღვიძაო.

— ვერ გაიგე, რაც ვთქვი-რა?— შეტევის კილოზედ მიუგო მარეხიმ და თვალი თვალში გაუყარა.

— რაღაც ფიქრში ვიყავ, ახლა მითხარ.

მარეხიმ ნათქვამი გაუმეორა.

— საქმეც ეგ არი, რო ის თავადისა იყო, მე გლეხისა ვარ. რაც თავადს ეპატიება, ის გლეხს დიდ დანაშაულად ჩაეთვლება: ქვეყანა ყბად ამიღებს, ლეჩაქი მომეხდება და შინიდგან გარედ აღარ გამომესვლევინება; იგეთი უჭკოც არა ვარ, როესაც არ ვიცოდე, —თამამად უპასუხა მტკიცე გარდაწყვეტილების გაბედულობით გულ-მომაგრებულმა თიკომ.

— რას ამობ, ქა!—დაიწყო ხმამაღლივ თიკოს გათამამებული გულახდილობით გამხნევებულმა მარეხამ: სიყვარული სიყვარულია, ისიც თავისს გული-საყვარელ კაცთან გაიქცა, შენც შენი გული-საყვარელს გაჰყვები და ჯვარს დაიწერთ. ვის რა დავა აქვ მაშინ შენ ლეჩაქთან, ხასათ ხო არავის უჯდები, ჯვარწერილი გვრიტი იქნები შენი ქმრისა. გული-საყვარელ კაცთან გაქცევა თუ მაგრე საძრახისი იყოს, ჯვარსაც აღარავინ დაჰწერდათ, მაგრამ თითონ ღვთის ენა-პირი—ვენაცვალე იმი დიდებულობას—ჰბრძანებს წმიდა სახარებაში: შენ ვინც გიყვარს და ვინც შენი გუნებისა იყოს—ის შაირთეო. მა ი ღვდელი რიჰთვინა ჰკითხავს-ყე საყდარში ნეფე-დედოფალს: გსურთ ერთმანეთი თუ არაო, და თუ ნეფემ ან დედოფალმა თქვა: არაო, მაშინვე ჩაჰშლიან ჯვარი-წერას, იმიტო რო ძალათ ცოლ-ქმრობა ჯოჯოხეთზედაც გადამეტებული ჯოჯოხეთია და უკუნითი უკუნისამდე წყეულ-კრული და აღრინებულია იმ დედ-მამის სული, რა დედ-მამაც თავის ქალს თავზედ კაკალს ამტვრევს: გინდა თუ არა, მავანი კაცი უნდა შაირთოვო და ძალის-ძალათ აგდებს ჯოჯოხეთის სატანჯველში. ყველა უგუნურობა უგუნურ ხალხს მოუგონია, თორე აბა ერთი კარგა დავუფიქრდეთ მართლაც: მაშინ-კი ლეჩაქი მოგეხდება, როცა შენი გული-ნამდომ საყვარელ შაირთავ ტკბილი სიცოცხლე-სიხარულით ყელთამდინ ასავსებათ, და მაშინ-კი ლეჩაქიანი ქალი იქნები, როცა უენო ოთხ-ფეხივით გაჰჩუმდები და ერთ ვიღაცა გულის დამაჭლექებელ სამარცხვინო მაჯლაჯუნას მიგაგდებენ შენ უნებურათ?! მაშინ იქნები ლეჩაქიანი—მაშინ?! ფუი! ფუი იგეთ ლეჩაქსაც და იგეთ სიცოცხლესაც-კი რა ვუთხრა!.. არა, შვილო, შენ იგრევ შენი ჭკვით იცხოვრე, თორე ქვეყნის მითქმა-მოთქმას რო აჰყვე—კლდეში გადაჰვარდები. ქვეყანა ჭრელია: სხვა-და-სხვა თავ-გოგრიდამ სხვა-და-სხვა ჭკვა გამოდის და აბა რომელ ერთს დაუჯერებ?!

მარეხოს სიტყვები თიკოს ჭკუაში უჯდებოდა, ტვინის ძაფებში ექსოვებოდა და გულის სიღრმეში რაღაც ალტაცებით ელაპარაკებოდა თავისს თავს: „მართალს ამობს, მართალსო“. თიკო უფრო წახალისდა და მის ხმა-გამომეტყველებას უფრო მეტი გაბედულობა, სიცოცხლე და ჰარმონია დაეტყო.

— ვთქვათ, რო ეგაც მაგრეა, მაგრამ რას იფიქრებს იმაზედ მაინც ქვეყანა, არ ჩამაფურთხებს და არ მეტყვის: შე აგეთ-იგეთო, აი ვიღაცა უგვარო ლატაკი მუშა-მოჯამაგირე რო არ შაგერთო შენი მამი შვილს, სხვა შენი შესაფერი კაცები-კი აღარ იყვენო-რა?

— ეეე, თიკო, თიკო, ჯერ შენ კიდე ბევრი გკლებია, შვილო. ადამიანი თითონ უნდა იყოს, თორე სიმდიდრე და გვარიშვილობა ტყუილი ყოფილა, „თუ კაცი თითონ არ-ალი, ცუდია გვარიშვილობაო“, ხო გაგიგონია. აგეი გმირაძეანთ დიონე ლატაკი გლეხიშვილი არ იყო, ვიღაც შორეულმა ნათესავმა რო აჰწავლა და გამოზარდა. იგეთი დიდი ჭკვა და ნიჭი გამოუტანია დიონეს, ამობენ: ყველა ხემწიფის სადარ კაცთან დიდი მიღებული და მიჩნეულიაო. მაგრამ აგე ეხლა თითონ ი დიდი მწავლული დიონე ჩემი თვალით მიყურებია უბრალო მუშასავით მუშაობს მინდორში და გაფოთებული ჯაფის ხვითქი იგრე საყვარლად გადაჰდის ი დახატულ შუბლზედ, როგორც დილის ნამი ველის ყვავილებს; თურმე ეტყვიან-ყე კაცები: რათა ჰკადრულობ მიწის მუშაობას, მწავლული ხარ, რატო სადმე სამსახურში არ შახვალ და ჩინებიანი დიდი კაცი არ გაჰხდებიო. დიონეს-კი საამურად გაეღიმება-ყე და გვეტყვის ხოლმე დარიგებითო: დღეს იგეთი განათლებული დრო დაგვიდგა, ხემწიფეებიც მიწას ეჭიდებიანო. ათასი

*) იხ. „ივერია“ № 219.

ნცი და 10—15 წელიწადია, რაც ეს ბერი დავაშია ხაზინასთან მონასტრის ზოგიერთ ადგილების დასაკუთრებისათვის.

აქ, დილიჯანში, ხმები დადიოდა, რომ ხსენებულ მონასტერში ქართველების ისტორიული ნაშთი არისო. აგარცინში, როგორც ქვემოდ ბერის ნაამბობიდგან დავინახავთ, „ნაშთი-კი არა, რამდენიმე „ზეპირ-გარდმონაცემი“ დარჩენილა. აი ამ მიზნის მისაღწევად 8 ოქტომბერს მე და თ. ოგანეზოვი გავემგზავრეთ მონასტრისაკენ. საღამოს 4—5 საათი იქნებოდა, რომ მივედით მონასტერში.

ერთი შეხედვით ეს მონასტერი მოგაგონებთ საფარის მონასტერს, მხოლოდ იმ დიდ განსხვავებით, რომ საფარის მონასტრის არხიტექტურა ბევრად სჯობია, მთლად შენახულია და სუფთადაც არის დაცული, აგარცინის მონასტრის არხიტექტურა-კი ბევრად დაბლა სდგას, კედლები აქა-იქ ჩამონგრეულან და მეტად მოკლებულია სისუფთავეს გალავანის უქონლობის გამო!.. ამ გვარის მდგომარეობის მიზეზად ბერმა მონასტრის სიღარიბე დაასახელა.—შარშან დილიჯნის „ზასტაოს“ უფროსი დ. გოგონიევი იყო აქ და შემოსწირა ხუთი თუმანი, ამ ფულს სხვაც უნდა მოუმატო და გავაკეთებინო „შადრევანიანი წყაროო“—სთქვა ბერმა და დაუმატა:—„აქ ზაფხულობით მრავალი ხალხი მოდის დროს გასატარებლად და ამისთანა წყაროსთან უფრო მეტად ისიამოვნებენო!“

ის უფრო კარგი იქნებოდა, ჩემის აზრით, იმ ფულებით ეკკლესიისათვის გალავანი შემოევლოთ. აქედგან გავწიეთ იმის სენაკისკენ, სადაც, სხვათა შორის, აი რა მიამბო: «ეს მონასტერი აშენებულა ჩვენის მეფის ბაგრატუნების დროს მე-XII საუკუნეში. იმ დროს თქვენ, ქართველებს, გყოლიათ მეფეთ თამარ დედოფალი, რომელსაც ზაქარია სპასალარი (სომეხი ყოფილა) მრავალის შეწირულებით გამოუგზავნია მონასტრის აგებაში დასახმარებლად. შემდეგ მეფე ერეკლეს დროს ჩვენს კათალიკოსს გუგასს მიურთმევია თხოვნა ერეკლესათვის იმის შესახებ, რომ დაეშალა მას ახლო მცხოვრებელ სოფლელებისათვის, როგორც ს. ჩარხჩისა და სხვებისათვის, სარგებლობა მონასტრის კუთვნილ მიწა-ტყიდგან და არ შეხებოდნენ მისს საზღვარს, რომელიც მაშინ 1105 დესეტინას აღემატებოდა; თუ რა განკარგულება მოახდინა მეფე ერეკლემ, ამისი არაფერი ვიცით, მხოლოდ იმ ქაღალდის «შავი», რომელიც გუგას კათალიკოსმა მიართვა ერეკლეს, აღმოვაჩინეთ ეჩმიაძინის მონასტერში და დღეს სახელმწიფო პალატაში იმყოფება, როგორც დასამტკიცებელი საბუთი იმისი, რომ ხსენებული ადგილები მონასტერს ეკუთვნოდნენ და არა ხაზინასაო», დააბოლოვა ამოოხვრით მოხუცმა.

ტ. ინასარიძე.

1895 წ., 10 ოქტომბერი.

## რუსეთის ცხოვრება.

—

მთავრობას გარდაუწყვეტია ტომსკში ტეხნოლოგიური ინსტიტუტი დააარსოს.

—

„ნოვოსტის“ სიტყვით, სამიწათმოქმედო სამინისტროს განზრახვა აქვს ფულით შემწეობა აძლიოს ხოლმე ყოველ წელს ზოგიერთა სამეცნიერო საზოგადოებათ, რომელთაც შეუძლიანთ სხვა-და-სხვა გვარი სარგებლობა მოუტანონ მეურნეობას.

—

ოლღა პალემის ცნობილი საქმე ხელ-ახლავ გაირჩევა ოქტომბერში.

—

პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, განზრახულია მომავალ წლიდგან გუბერნატორებსა და ვიცე-გუბერნატორებს ჯამაგირი მოუმატონ. განზრახულია აგრეთვე პოლიციის შტატების გაძლიერება.

## უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** ვანიდან „მშაკ“-ს ატყობინებენ: მთელს ამ მხარეში დიდი აღელვებაა. მაჰმადიანებმა, როგორც-კი გაიგეს, რომ სომხებს ევროპის სახელმწიფონი დახმარებასა და მფარველობას უწევენო, აღელვდნენ; მეტადრე გაჯავრებულნი ქურთები არიან. მრავალი ქურთი იკრიბება ვანში გარშემო სოფლებიდგან.

—

როგორც სჩანს, მაკედონიაში ემზადებიან მომავალს გაზაფხულზედ დაიწყონ ამბოხება ოსმალეთის წინააღმდეგ. მაკედონიის კომიტეტმა 100,000 ფრანკი შეკრიბა; განუზრახავთ ეს თანხა 3,000,000 ფრანკამდე გააძლიერონ, და მით შექმნან ძლიერი სამხედრო ფონდი. კომიტეტს განუზრახავს, ზამთარში, როდესაც კონტროლი ძლიერ სუსტია საზღვარზედ, საზღვარ გარეთიდგან შემოიტანოს საჭირო საომარი მასალა.

## ახალი საერთაშორისო საზოგადოება.

—

1892 წელს ინგლისში, როჩდალის ქალაქში, კრება ჰქონდათ ინგლისის სხვა-და-სხვა მუშათა ასოციაციების წარმომადგენელთ. კრებაზედ შემთხვევით იყვნენ აგრეთვე საფრანგეთის ასოციაციების ორიოდ-სამიოდ წარმომადგენელნი. ინგლისელებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და წინადადება შეიტანეს საერთაშორისო საზოგადოების დაარსების შესახებ. ეს წინადადება შეატყობინეს სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა კოოპერატიულ საზოგადოებათ, რომელთაც მოიწონეს ახალი განზრახვა. 1893 წელს ლონდონში მოხდა კრება, რომელზედაც დაარსებულ იქმნა საერთაშორისო საზოგიდოება. როგორც ვიცით ახლა ყოველს სახელმწიფოში მრავალი სხვა-და-სხვა ასოციაციებია, მრავალი კოოპერატიული საზოგადოება. ზოგი მათგანი ესრედ წოდებული „მომხმარებელი საზოგადოება“ არის, ზოგიც „მწარმოებელი“. „მომხმარებელ საზოგადოებათ“ საგნად აქვთ შეიძინონ ყოველ-გვარი საქონელი, მასალა, ხორაგეულობა, ოჯახში მოსახმარებელი ნივთი და ყოველი ეს მიჰყიდონ თავისს წევრთ და გარეშეთაც. ამგვარ საზოგადოებათა მოღვაწეობა აუქმებს შუამავალ-ჩარჩებს, რომელნიც მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის არიან. «მწარმოებელ საზოგადოებათ“-კი საგნად აქვთ შეაკავშირონ ერთის ან რამდენიმე ხელობის მუშანი და ხელოსანნი, რომელნიც ამრიგად თვით ხდებიან ფაბრიკისა ან ქარხნის პატრონად და იმავე დროს მწარმოებელნიც და მუშანიც არიან. აქაც მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის შუამავალი საჭირო აღარ არის. ამგვარი „საზოგადოებანი», როგორც ვთქვით, ბევრი არსებობს ამ ჟამად სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში. ახალს საერთაშორისო საზოგადოებას-კი ჰსურს ამ საზოგადოებათა დაკავშირება, მათ შორის ურთიერთობის დაარსება.

საერთაშორისო საზოგადოება სრულიად არ ერევა ცალკე კოოპერაციების შინაურს საქმეებში: იმის დანიშნულებაა მხოლოდ ხელი მოუწყოს კოოპერაციების მოქმედებას და მათ გაძლიერებას. იქნება დაარსებული ცენტრალური ბიურო, სადაც ყოველი ასოციაცია გზავნის ანგარიშებს და სხვა ცნობებს, საზოგადოებას თავისი გაზეთიც ექნება, სადაც დაიბეჭდება ყველა საზოგადოებათა მდგომარეობის ამბავი, გარემოებანი და სხვა. ამ რიგად ასოციაციებს ეცოდინებათ ერთმანეთის ამბავი, შეუძლიანთ ისარგებლონ ერთმანეთის გამოცდილებით, რაც რასაკვირველია საგრძნობელ სარგებლობას მოუტანს ყველა კოოპერაციებს. გარდა ამისა მწარმოებელ საზოგადოებას ერთის სახელმწიფოსას, საერთაშორისო საზოგადოების შემწეობით, შეუძლია საქმე დაიკავოს რომელიმე მომხმარებელ საზოგადოებასთან და ამრიგად მუდმივი ბაზარი გაიჩინოს თავისის ნაწარმოებისათვის. ყველა ამაებიდგან სჩანს, რომ საერთაშორისო საზოგადოებას, რომელსაც საგნად აქვს დააკავშიროს ყოველგვარი ასოციაციები, დიდი მნიშვნელობა ექნება ამ სასარგებლო მოძრაობისათვის.

პირველი კრება საერთაშორისო საზოგადოებას ჰქონდა წელს, ლონდონში, 19 აგვისტოდგან 24-დე. ეს პირველი კრება პატარა იყო: ზოგიერთ სახელმწიფოს სრულიად არ გამოუგზავნია დელეგატები, როგორც მაგალითად რუსეთს, თუმცა რუსეთშიაც საკმაოდ ბევრია სხვა-და-სხვა ასოციაცია, ზოგიერთმა სახელმწიფომ გამოგზავნა თითო ან ორ-ორი დელეგატი. კონგრესის პრეზიდენტად არჩეულ იქმნა ლორდ გრეი.

კონგრესზედ წაკითხულ მოხსენებათაგან და ანგარიშებიდგან სჩანს, რომ კოოპერატიული მოძრაობა ყოველგან იზრდება და ვითარდება. თუმცა მათი გავლენა დ მნიშვნელობა ზოგან ჯერ მეტად სუსტია, ზოგან გამოურკვეველი, მაგრამ ეჭვს გარე-

---

ვერაგობით გაჩინიანებული დიდი კაცები ყალიონის ბოლივითა ქრებიან უგზო-უკვლოთ, და მიწის ალალი მუშა-კი საუკუნოდ დალოცვილია ღვთისაგანაო. დედა-მიწა ყველა სულ დგმულის მასაზრდოებელი დედაა და ყველაზე მეტად ჩვენი დედა-მაცოცხლებელი მიწა უნდა გვიყვარდეს ყველას; ხემწიფესაც და არ-ხემწიფესაცო. და ვინც მიწის მუშაობას უკადრისობს—ის თავის დედა-მაცოცხლებელს ვერ იცნობს თავისის უცოდინარობით და იმისთანა ამპარტავან რეგვენს ადამიანს ერთი ბზუკუნა ფუტკარიც-კი ჰჯობია ათას წილათ, რადგანაც ქვეყანას თაფლს უკეთებს მიწის ნაზარდებიდამ, ღმერთს წმინდა სანთელს და თითონაც ტკბილათა ცხოვრობსო. თითონ გაიოზს და სხვა კაცებსაც რამთენჯერ უთქვამთ: იგრე ძმურათ დაგვარიგებს-ყე კაცებს ათას რამეზე ი დედა-სულგანათლებული და მამა-ცხონებული შვილი დიონე, რო გვინდა სულში ჩავისვათო.

— დახე, როგო ბრძენივით ულაპარაკნია, და თითქმის მთელი სოფელი-კი თურმე სუ დიონეს დაჰცინის პირს-უკან: ალბათ იმი სწავლას გასავალი არსად ექნება ყალბი აბაზივით, თორე ი რო ხეირიანი შვილი იყოს, ჩინებიანი იქნებოდა და ჩვენთან აღარ ეგდებოდა თხუნელასავით მიწაში ამოგანგლულიო.

— ჰო-და აკი დიონესაც იმიტო ულაპარაკნია იგეთი ქადაგებასავით ჩასაგონებელი სიტყვები, როცა იცის სოფელი ე მაგეთი სირეგვნით გამოტენილი ბრმა-ყრუია. ზოგ-ზოგი ხელგაუძრავი დიდი დოვლათის პატრონი თუ ყელთამდინ სავსეა ქონებით და დიონე დღე-დღიურათ ცხოვრობს თავის წმინდა ოფლით, ეგება დიონეს დაედაროს ვინმე სწავლაში, კაცობაში, გონივრული ცხოვრების ლაზათში და ან იმი მოჰრილ ფჩხილათ-კი ღირდნენ თუნდა მთელი სოფლის დიდი ოჯახიშვილები და ჩინიანები თავიაანთ ზღვის ოდენა სიმდიდრით! დიაღ, ქონებიანს გონებიანი ჰჯობია ყველთვინ კაციც, დედაკაციც, ბიჭიც და გოგოც, თორე ღორი თუნდა თვალ-მარგალიტში ჩასვი, მაინც ღორი იქნება. შენ იმასაც ამბობ: ვინ რას მეტყვის, აის უგვარო მოჯამაგირე როგო შაირთეო და აგე დიდი გვარისაც: თავადი სადიკო ტვინთხელაძე, შე რო გეტოტინება საქრმოთ, ქალო, მაგრამ ვერ მიართვეს გოჭის თავი იმითანა გუდამშიერ გამოფხეკილს! უი, მეხი და მედგარი-კი ჩავათხლიშე იმას ი რეტუცანა თავში! აიმითანა სამარცხვინო მავნე-მაცდურს და აფრაკი ჰკვისას ქალ მივცემდი, თუნდაც რო ძაღლთოდენანი მყოლიყვნენ და სუყველაყანი კუტად ჩაცვინილი დაყრუვ-მუნჯებულები ყრილიყვნენ კერაჰთან?! იმთენი იმისმა შლეგიანმა გულმა იკვნესოს, იხვეროს და იავადოს, რაც მე იმითანა გამოცრუებულ ტუტრუცანას ქალს არ მივცემდი! აიმითანა დამთხვეულ სარსალს ხო მუტრუკიც არ ენდობა: მაშინვე გაჰყიდის, ან დააგირაოებს და ან თავის ულეჩაქო სალახანა საყვარლებს უფეშქაშებს, ამ ღამეთ რო სუ ჩარბუზანა უბიათ სახლში და იალბუზის მოზვრებივით ბუღარაობენ. დადგებიან: კეთილ-შობილიო, კეთილ-შობილი-კი არა, ამითანა მიწაში ჩასაძვრენი ლოპოსტაწები ჭირად-შობილები არიან, დიდმა ჭირმა და ნაცილმა წაიღოს იმათი გამოსარსარაკებული შავ-ბნელი თავი, რო აღარ არცხვენდნენ თავიანთ გვარსა და ხალხს. თურმე სუ ღობემძვრალა-წიწკანა ჩიტივით გული ყელში ჰჩრია და როცა-კი სტუმრად მიჰყვება-ყე სადმე ი მზე-ბნელი შვილი—არ შაიძლება თუ კაცი არ დახანჯლა ზეზეურ მაინცო. ზოგჯერ-კი მგელივით გატიტაყული წამოვარდება-ყე სუფრიდამ, იშიშვლებს ხმალს ან ხანჯალს—და სუ ჟიჟმატოს აუტეხავს-ყე ი საჭერით მთელი სუფრის ჯამ-ჭურჭელსო. ვის შეუძლიან ენა დაატოკოს: რათა ჰჩადიხარო, მაშინვე წიწილასავით თავს გააგდებინებსო; როცა სუ ერთიანად ამაჰქლეტავს ხოლმე თავის გაგიჟებულ ქეიფზე იმოდენა ჯამ-ჭურჭელს, კოხტად მააჯდება-ყე თავის ცხენს ღვინით გაჟენთილი—დ ჰერიიი! მიაქროლებს თავ-მოწონებულა სიმღერით; იტყვი ლეკი-ჯარი ამოუწყვეტნია და შამილი დუტყვევებიაო!.. აჰა, ეგაც შენი გვარიშვილი თხიტვინა!

არა, ქაჯანო, არა, ქალავ, კაცი თითონ უნდა იყოს, თორე ვირს რაც უნდა დიდი გვარიშვილობა, დიდი ღრანლობა და დიდი სიმდიდრე მისცენ, ვირი მაინც ვირი იქნება და რაც ღმერთს თუ ეშმაკს იმისათვის ჰკვა მიუცია—კიდევაც იმ ჰკვაზე და კვალზე გაივლის; დიახ, დიახ, ნეტავი-კი ქვეყანას, გაიოზი თუ არც მდიდარია და არც გვარიშვილია, არა ჰჯობია ათაჰწილად ბევრ მდიდარსა და გვარიშვილს ჰკვითაც, წიგნითაც, ნამუსითაც, ხერხითაც, გარჯილობითაც, ვაჟკაცობითაც და სხვითაც. ჭირ-უნახავი ადამიანი და უწრთობი რკინა ჭიანტყემლათაც არა ღირს. გაიოზი-კი—დედაღვთისამ დალოცოს იმისი მაწოებელი დედა-მშობელი—სიღარიბის ათას ცეცხლ-ნავთში ნაწრთობ-ნადუღი ფოლადია პიტალო და ოქროა დაუფასებელი. მოჯამაგირეაო, და რა ვიცი, ქა, ხემწიფიდგან მოკიდებული სუ ერთმანეთის მოჯამაგირეები არა ვართ, როცა ყველანი ერთმანეთ ვემსახურებით? თავდიდაანთ თევდორე თუ ჯეილობაში მოჯამაგირედ ყოფილა, დოვლათი და კაცობა ვეღარ შაუძენია მემრე, არა! კაციც ის არი და ქუდიც იმასა ჰხურავ, ვინც მუშაობა-მოჯამაგირობით მაინაგრებს რასმე, თორემ მამა-პაპეულ მზამზარეულ სიმდიდრეზე ფარფარი რა კაცობაა. ეგეთი საქმე ქოსმან ღორს შაჰშვენის: სუ მზამზარეულს რო ათქვეფინებენ —მეტ ფასად გავყიდოთო. ადამიანისა-კი არც ტყავი ვარგა, არც ხორცი. ადამიანს ჰკვითა და მარჯვენით აფასებენ. კაცს თუ ჰკვა და მკლავი უჭრის—ქვაზეც იცხოვრებს, უგუნო ზანტი ვირი-კი ედემ-ბაღის მთაბარშიაც შიმშილით ამაირჩობა და კუდით ხათრევი ჯაგლაგი გახდება მგლების გასახაროთ. ეეე, შვილო თიკო, ღმერთი მექუდეაო: დღეს რო ერთსა ჰხურავს ქუდ-ბედს, ხვალე იმასა ჰხდის და ახლა მეორესა ჰხურავსო. ჩვენი ცხოვრება რუსების საქანელასა ჰგავ: ზევითი ქვევით ჩამოდის, ქვევითი ზევით ადის. ვინ იცის ღვთის მეტმა ადამიანის შუბლზედ რა ჰწერია, აქნება გაიოზიც იმ ყისმათზედ იყოს დაბადებული, რო დღეს თუ საწყალი მოჯამაგირეა, ხვალ იმაზედ დოვლათიანი და გავლენიანი კაცი აღარ იყოს ჩვენ სოფელში. რას ამობ, თიკოიავ, რას! რაღა დროს შენი უჭკოობაა, ჩვიდმეტი წლის გაიამზევარდებული ქალი ხარ. შენ ეს მითხარ: რას გამატან გაიოზთან სიყვარულის ნიშნათ? ჰუ! კარგი, ამაიღე ე ხმა, რა ძალიან დაჰფიქრებულხარ: ასი თუმნის ნახევარი ორმოც-და-ათი თუმანია, და ცოლ-ქმრობის სიყვარულითანა ტკბილი ნეტარება ღმერთს არა გაუჩენია-რა ცა და ქვეყანაზედ.

— ოჰ, მარეხო, მარეხო! გაქებდნენ და მართლაც ჰყოფილხარ!.. გულ-აღტაცებით წამოიძახა გრძნო-

შეა, რომ ყოველგან ასოციაციები ფეხს იკიდებენ, ყოველგან იკაფავენ გზას.

ინგლისში მეტად განვითარდნენ მომხმარებელნი ასოციაციები. 1894 წლის ბოლოს მათი რიცხვი იყო 1484, რომელთა წევრად იყო 1,250,125 კაცი. მწარმოებელთ ამხანაგობათა რიცხვი-კი 175 იყო 25,059 წევრით. რომ კოოპერატიული მოძრაობა თან და-თან ვითარდება, ამას შემდეგი გვიმტკიცებს: 1871 წელს ინგლისში სულ 746 საზოგადოება იყო, 1893 წელს-კი 1718. 1893 წელს ყველა ამ საზოგადოებათ 500 მილიონ მანეთის საქონელი გაუყიდნიათ და წმინდა მოგება 45 მილიონ მანათზედ მეტი დარჩენიათ...

საფრანგეთში-კი უფრო მწარმოებელ ასოციაციებმა იხეირეს. მათ რიცხვი ამ ჟამად 115—120-მდეა. ზოგი მათგანი ძლიერ დიდი და მდიდარია. მაგალითად Société du Familistère de Guise“ მარტო მუშებს ეკუთვნის და 12 მილიონ ფრანკამდე კაპიტალი აქვს...

გერმანიაში განვითარდნენ ეგრედ წოდებულნი „სახალხო ბანკები“ საურთიერთო კრედიტისა. ბანკებია შულცე-დელიჩის და რაიფეიზენის ტიპისა. მათი რიცხვი 1894 წელს იყო 5489. მწარმოებელთა და მომხმარებელთა კოოპერაციების რიცხვი-კი 1893 წ. 377 არის 264,185 წევრით.

პატარა სახელმწიფოთა შორის კოოპერატიული მოძრაობა უფრო ემჩნევა ბელგიას, სადაც მარტო 1894 წლის განმავლობაში 72 საზოგადოება შესდგა.

ჩვენთვის მეტად საყურადღებონი არიან საფრანგეთის სამეურნეო კოოპერაციები. ამათი რიცხვი 2500-მდე ადის. ამგვარმა კოოპერაციებმა მეტად დიდი სარგებლობა მოუტანეს საფრანგეთის მიწათ-მოქმედს და ამიტომ ძლიერ ვრცელდებიან. ასოციაციებმა შეაერთეს მრავალი წვრილი მეურნე და ამითი საშუალება მისცეს საერთო თანხით და ძალით ბევრი რამ ისეთი გაეკეთებიათ, რასაც წვრილი და ღარიბი მემამულე მარტო ვერ მოახერხებდა. ასოციაციების წევრნი სარგებლობენ უკეთესის სამეურნეო მაშინა-იარაღებით, იჩენენ კარგის ჯიშის მუშა-საქონელს, ადვილად და კარგ ფასად ჰყიდიან ნაწარმოებს და სხვა...

---

## ხარებთან ბრძოლა სამხრეთ საფრანგეთში.

მიუხედავად იმისა, რომ ხარებთან ბრძოლა აღკრძალულია სამხრეთ საფრანგეთში, დღემდის მაინც ვერ მოუსპიათ. მთავრობა იძულებული გახდა აღკრძალვასთან ერთად ენერგიული საშუალებანი ეხმარა ხარებთან ბრძოლის მოსასპობად. ბაიონნში მყოფი გამოჩენილი ტორრეადორი მაცცონტინი შეიპყრეს და მთელის თვისის დასით საზღვარ-გარეთ გაგზავნეს. ბრძოლის მოედანი დახურეს და მცველად ჟანდარმები დაუყენეს. ამ დროსთვის-კი პროვინციებიდგან მრავალი ხალხი ჩამოვიდა 1 სექტემბრისათვის დანიშნულ ბრძოლის საყურებლად. ქალაქის მოურავი, შეატყო-რა, რომ არეულობა მოხდებოდა, ბევრს ეცადა ეს აღკრძალვა გაეუქმებინა და თანაც თხოულობდა ბრძოლა უკანასკნელიღა ყოფილიყო, მაგრამ ვერაფერს გახდა. როდესაც ეს ვერ მოახერხა, ქალაქის მოურავმა საბჭო მოიწვია, რომელმაც სრულიად დაანება თავი სამსახურს. საბჭოს წევრთ ქალაქის სახლიდგან გამოსვლის დროს ხალხმა ოვაცია გაუკეთა. ამ დღემ მშვიდობიანად ჩაიარა, რადგანაც პოლიციამ წინადვე იხმარა ყველა საჭირო საშუალებანი, მაგრამ მეორე დღეს-კი არეულობა დაიწყო და მალე საშიში ხასიათიც მიიღო მან. პოლიციის შენობის წინ მრავლად თავმოყრილი ხალხი საშინლად ყვიროდა. ქვემოპირინეს პრეფექტი, რომელიც იმ დღეს მივიდა ბაიონნში, ტყუილად სცდილობდა ხალხი დაემშვიდებინა იმ იმედით, რომ მთავრობას ვსთხოვ აღკრძალვა გააუქმოსო. საღამოს ჟამს მოძრაობა უფრო გაძლიერდა. გაზი ჩააქრეს და პრეფექტურის შენობის ფანჯრებს ქვები დაუშინეს, რომლებიც რამდენსამე მოხელეს კიდეც მოხვდა. ადგილობრივის ჯარის უფროსმა, რომელიც ამ ჟამად პრეფექტურაში იმყოფებოდა, ჯარი გამოიწვია ხალხის გასაფანტავად. წესიერება მხოლოდ ღამის ორ საათზედღა დაამყარეს, მაგრამ ამ დროს მანიც დაიჭრა რამდენიმე კაცი.

სახელმწიფოს განკარგულებათა წინააღმდეგობისა გამო ხალხის მხრივ ნიმაში ქალაქის საბჭომ უფასოდ გამართა ხარებთან ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ ესპანია ხარებთან ბრძოლის სამშობლოდ იწოდება, აქედგანაც-კი უწონებენ, რომ საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ასე ენერგიულად ეწინააღმდეგება ხსენებულს თავისშექცევას. ესპანურ გაზ. „ეროსა“-ში დაბეჭდილია წერილი ესპანიის საზოგადოების მხრივ, რომელიც ძალიან უწონებს საფრანგეთს ასეთს მოქმედებას; სწორედ კარგად იქცევა განათლებული საფრანგეთი, რომ ამ მხეცურს თავშესაქცევსა ჰკრძალავსო. ესპანიაში „კორრიდა“ (ხარებთან ბრძოლა) თავ-შესაქცევზედ მეტია: იგი ცალკე დაწესებულებას შეადგენს და გამოჩენილის ტორრეადორის (ხარებთან მებრძოლის) სახელი გამოჩენილის მომღერალის სახელს არაფრით ჩამოუვარდება.

ტირრერო გვერიტოს, რომელსაც მთელს ისპანიაში დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი და რომელსაც თავისს სიცოცხლეში 1400-ზედ მეტი ხარი მოუკლავს ბრძოლაში, დღემდის 3.000,000 ფრანკის ქონება შეუძენია. ყოველს სეზონში 400,000 ფრანკს იღებს იგი. ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, თუ როგორ უყვართ ეს თავ-შესაქცევი ესპანელებს.

---

## რამდენიმე სიტყვა ყმაწვილების აღზრდის შესახებ.

თუმცა თითქმის ყოველი მასწავლებელი თანახმაა, რომ უმჯობესია მოწაფეს პატივით მოეპყრას, ვიდრე ბრიყვულად, მაგრამ საქმით-კი ბევრნი არ ასრულებენ ამას. ეს ბრიყვული მოპყრობა ხშირად უფრო იმითი გამოიხატება, რომ მასწავლებელი ანუ აღმზრდელი ყმაწვილს მიჰმართავს ხოლმე „თქვენობით“-კი არა, «შენობით». „შენობით“ მიჰმართავენ ხოლმე არა თუ პატარა მოწაფეებს, არამედ დიდებსაც. რასაკვირველია „შენობით“ მიმართვა უფრო სიყვარულსა და მეგობრობასა ნიშნავს, მაგრამ სამწუხაროდ იშვიათია იმისთანა მასწავლებელი, რომ მართლა მეგობრულის გრძნობით იყოს გამსჭვალული მოწაფისადმი. ძალიან ხშირად სიტყვას «შენ» მასწავლებლები და აღმზრდელები უფრო სისასტიკის გამოსახატველად ხმარობენ, ვიდრე სიყვარულისა და მეგობრობისა. მიმართვა «თქვენ» სასტიკს მასწავლებელს არ აძლევს ნებას გამოსთქვას თავისი უკმაყოფილება და განრისხდეს თავ-შეუკავებლად. როდესაც მასწავლებელი მოწაფეს თქვენობით ელაპარაკება, მაში იგი თვის-და-უნებურად მას პატივითაც ეპყრობა. იქნება ვინმე სთქვას, რომ მასწავლებელი თავისს მოწაფეს უნდა გაუჯავრდეს და უნდა დასაჯოს, ისე როგორც მამა შვილს უჯავრდება და სჯისო. არა, ბატონებო, შემცდარი აზრია. ყმაწვილი თავისს მშობლებს ყოველთვის აპატიებს წყენას, ხოლო უცხო კაცს-კი იშვიათად. ეს თვით ბავშვის ბუნებაშია. აღზრდა სრულებითაც არა მდგომარეობს იმაში, რომ ყმაწვილი ყველას ერთგვარად მამაშვილური გრძნობით ექცეოდეს. აღზრდის უპირველესი აზრი ის უნდა იყოს, რომ ბავშვში არ გააქარწყლონ საზოგადოდ სიყვარული და არ წაართონ მას ის, რაც კაცს ადამიანის ნიშანს სდებს. ლანძღვა-გინებით და სისასტიკით აღმზრდელი ამას ვერა დროს ვერ მიაღწევს. არამედ თუ აღმზრდელს ჰსურს, რომ ყმაწვილი კეთილი და მოსიყვარულე ადამიანი გამოვიდეს, თვითონაც მას კეთილად და სიყვარულით უნდა მოეპყრას. თუმცა ერთსა და იმავე დროს მოწაფისაგან უნდა თხოულობდეს საქმის კეთილ სინიდისიერად აღსრულებას. და არ უნდა აძლევდეს მას ნებას, გადაუხვიოს სასწავლებლის წესრიგს. ამ შემთხვევაშიაც საჭიროა მხოლოდ კეთილი სიტყვა სიყვარულით და ადამიანური მოპყრობა. მართალია ეხლა აღარ მიმართავენ ხოლმე მასწავლებლები გიმნაზიის უფროს კლასების მოწაფეს სიტყვით „შენ“, მაგრამ ამ სიტყვას-კიყოველთვის ხმარობენ ჩვიდმეტისა, თვრამეტისა და ცხრამეტის წლის მოწაფეების მისამართავად, და უფრო-კი სამაზრო სამოქალაქო სასწავლებლებში. თუმცა ეხლა იშვიათად მოხდება, რომ მასწავლებელი ხელით შეეხოს თავისს მოწაფეს თვით დაბალს სასწავლებლებშიაც-კი, მაგრამ სიტყვით და სახის გამომეტყველებით ბავშვის თავმოყვარეობისა და ზნეობრივის მხარის

---

ბიერმა თიკომ, რომელიც გაუმაძღრად ისმენდა მარეხის დინჯს, მკაფიო დალაგებულს ლაპარაკს.

— მაგრეც ნუ გამქონავ, თორე თაგვები მამიტაცებენ. შენ რაც შეგეძლოს ,მაძაგე, თუ ჩემთვინ კარგი გინდა. როცა მაქებენ—ყველაფრის მშნო მეკარგება; როცა მაძაგებენ, მაშინ გამოვიჩენ-ყე გაჯავრებული ყველას უნარს ერთი-ათათ. ეხლა ხო გაიგე ჩემი ხასიათი: ჩემი გამარჯობა თუ გინდა—მაძაგე და ნურაფრათ ჩამაგდებ, თუ დამარცხება — მაქე და მადიდე,—დამჭკნარი სახის მჭმუნვარე გამომეტყველებით და მკრთალი ღიმილით უთხრა მარეხიმ და დაუმატა: ჰა, მითხარ, კარგი, რას ამზადებ სიყვარულის ნიშნათ?

— უჰ, ღმერთო! ნაღვლიანად ამოიგმინა თიკომ: ცხრა კლიტით დაკეტილი გული მაინც გამიხსენ და შენმა სიტყვებმა იმთენი ჰკვა და გაბედულობა მამიმატეს და იგრე გამაგულძლიერა შიშიმქრალა, რო ვეღარას დაგიმალავ დღეის იქით...

— რაჰ გაჰჩუმდი, სხვა?

— სხვა რაღა?.. დაბნეულად იკითხა ფიქრში წასულმა თიკომ და მალევე მოაგონდა რაღაც სიამოვნებით თვალებ-ანთებულს: ჰო, მართლა! იცი რას გაგატან, ჩემო დედათ-ნაფიცო მარეხო, გაიოზთან სიყვარულის ნიშნად?..

— იი, ქაა! მე-კი დამლა ჩამამივიდა და გული დამიხავსდა-და, რაღაჰ გაჰჩუმდები-ყე.

— ჩემ სამზითო წითელ ფარჩის პერანგს ერთ საჯიბიბოლჩეს გამოვაჭრი გულიდამ, იმის ჯიბიბოლჩას შავუკერავ და ზედ „ვეფხვის-ტყაოსნის“ რამ სამახსოვრო სიტყვას მოვქარგამ მწვანე ძაფით, კარგი არ იქნება?

— იჲ, შენ გაიხარე შვილო თიკო! აბა სიყვარულის ნიშანიც ემაგასა ჰქვიან, აი! სიყვარულის ცეცხლში ოქროსავით დახალისებული შენი გული მუდამ თავისთან ექმნება გაიოზსა, მაგრა დედაშენმა რო ნახოს პერანგი?

— ვეტყვი: ჩრჩილს დაეჭქვა და თავისივე ნაჭერი ფარჩა ჩავაკერემეთქი.

— ეგაც კარგი! შენ უფრო ხერხიანი ყოფილხარ ჩემზედ, მაგრამ, ეჰეეე! ჯერ სად არი, ჯერ იგრევ ზღვის პირასა ვდგევართ და თვალუწვდომი საზარელი ზღვა გვაქ გასავლელი: ჩვენი უნარი და ხერხი ამას იქით უნდა გამოვიჩინოთ, როცა შენი დედ-მამა გაიგებს შენ და გაიოზის საქმეს და მთელ ცისა და ბატონის რისხვა-ქარცეცხლს თავზედ დაგვაბღერტავენ გულ-გამეხებულები.

თიკო საშინლად გაფითრდა ამ მოგონებაზედ, მიჰხვდა გამოცდილი მარეხო თიკოს სულის მდგომარეობას და გამჭრიახედ გაამხნევა:

— აი, შე შიშიმქრალავ! რა მწყერჩიტასავით გული გისქდება. იკვეხოდი: შენმა სიტყვებმა გამაგულძლიერაო და ; ყველიპარია კატასავით-კი ფერი გეცვალა დანდობილა! ფიქრი ნუ გაქვ, ფიქრი! მარეხი ცოცხალი გყვანდეს, თორე მთელი ჯოჯოხეთის ქაჯ-ეშმაკებიც რო დგვეხვივნენ, მით შენ თავს არავის დავანებებ თავცოცხალი. თიკო და გაიოზი თითონ ზეციერ მამა-უფალს გაუჩენია ერთმანეთის სასიყვარულოთ, და ძაღლის რჯულზედ მოვკლავ, ძაღლისაზე, ვინც თქვენ ერთმანეთს დაგაშორებთ და სიცოცხლეს გაგიჯოჯოხეთებთ. ნუ, ნურავინ გამაჯავრებს უსამართლობით, თორე თავზე ქვეყნის ლაფს დავასხამ და პირში ჩალას გამოვავლებ, ძირიანფესვიანათ მოვთხრი და ბოლოკივით ამოვაგდებ, როგორც ჩემი დამღუპავი მტრები მოვთხარე და ამოვაგდე. შენ კიდე არ იცი, მე ვისი ნაგლეჯი ვარ. ჩემი ახოვანი ბებია რუსუდანი შიშიანობაში კაცის ტანისამოს იცვამდა, თოფ-იარაღში ჯდებოდა, ვაჟკაცურად მააფრინდებოდა-ყე თავის ლურჯას, ნიავივით მიაქროლებდა ქართველ მეომრებთან და გულგამედგრებული თურმე ჰყიმივითა ჰპალთავდა ისიც სამტროთ მოსულ წუნკალა დაღისტნელებს. პაპა-ჩემი ყარაპაატა ხო იგეთი დიდი გათქმული გმირი ყოფილა, რო მარტო იმისი საზარელზე საზარელი დაჭყივილიც-კი ზარდაცემულ ადამიანს მეხნაკრავივით ახეთქებდა მიწაზეო. ძმასავით უყვარდა თურმე ნეფე ერეკლეს და ტკბილად ეტყოდა-ყე: შენი გამჩენის ჭირიმე, ჩემო ქიზიყელო ლომო ყარაპაატავო. მეც იმათი ნაგლეჯი ვარ, ჩემო ენაშაქარო თიკოიავ, შენ ფიქრი ნუ გაქვ. ვინც შენ არ გიყვარს, ან მოვკლავ ან შავაკვდები, და იმას-კი არ დაგანარჩუნებ თავცოცხალი, ასე ანუგეშა მარეხიმ, ღრმად ამოიოხრა და წამის სიჩუმის შემდეგ განაგრძო ისევ სახე-მოჭმუხვნილმა:

— ღმერთმა სულით გაგნათლოთ მოგონებაზედ, ჩემო პაპავ და ბებიავ, ქვეყნისათვინ თავდადებულო გმირებო! ეხლანდელ დაქალაჩუნებულ კაცებს რო ყველას ლეჩაქები დაუხურამთ და მზათ არიან მოძმემეზობელი თუ ქვეყანა-რჯული გროშზედ გაყიდონ, განა უწინაც ეგეთები იყვნენ ჩვენი გმირი მამა-პაპანი, შვილო თიკო-რა. უწინდელებისათვინ ომში წასვლა ქორწილში წასვლა იყო და ქვეყნის მტერს მუსრს ავლებდნენ. თავიანთ ღატაკ-გაჭირებულ მოძმეებს ხო თავიდღეშიაც უნუგეშო-უშამწეოდ არ დააგდებდნენ: ყველა თავის უკანასკნელი ლუკმას გამაიღებდა-ყე პირიდამ და ქვრივ-ობლებს და უძლურებს აძლევდნენ. მაშინდელ მეზობელს მეზობლის ჭირი და დანაკლისი თავის ჭირ-დანაკლისათ მიაჩნდა, ეხლანდელ საცეცხლნავთე ადამიანს-კი ისიცა ჰშურს: ჩემ მეზობელს პირში სული რათ უდგაო. იი, შენ დაილოცე ღმერთო-უფალო, რა იქნა ი შენგან მირონ-ცხებული ხალხი, საით წავიდა და გადავარდა, რატო იმათი ნაასალი ან ვაჟკაცობა და ან ცოდო-მადლი არ გამაჰყვა ეხლანდელ რჯულზე ხელ-აღებულ ხალხს!.. ჰმ! თუკი ეხლაც უწინდელი ნამუსისანი იქნებოდნენ თითო-ოროლანი მაინც, როგოლა ამიკლებდნენ უსულ-ღმერთო მოვალე-მოვახშეები იგრე უღმერთოდ და შაუბრალებლად, რო ჩემი ნაშავდღევი თავ-შასაფარი ქოხიც-კი გამიყიდეს და წვრილი შიშველ-ტიტველა ობლები ცაჰ ქვეშ დამეხოცნენ განუკითხავი, მშიერმწყურვლები ძაღლ-უმადლოთ, არავისაგან შაწყალებულს და შაბრალებულს. ვაი შენ, სიცოცხლითვე დამარხულო ჩემო თავო, აწ როგორღა ვარ ცოცხალი იმ დღეების მნახველი!.. ოჰ, ღმერთო მაღალო; რამთენჯერ გევედრე მდუღარე ცრემლით: მომკალი, დამახწიე ა ჯოჯოხეთის გენიას-მეთქი და არ მისმინე, შე დალოცვილო. რათ მინდა, რო მზეს ვუყურო ხვლიკივით და გულში-კი ჯოჯოხეთი მიტრიალებდეს დღე და ღამე. ხვლიკს თავისი ბინა-შვილები მაინც გააჩნია, და მე კი ბინა-შვილებიდამაც დამაცარიელა უსულღმერთო ქვეყანამ. ეეჰ, დაილოცა ღვთიჰსამართალი, ზოგი რა შავ ბედ-იღბალზე დაბადებულა. მე რაღა ადამიანი მეთქმის ეხლა: სახლი მე აღარ გამაჩნია და კარი, ჯანი მე აღარა მაქვ და ღონე, შამნახავი მე აღარა მყავ და დამმარხავი. ვაი შენ, უბედიღბალო ჩემო თავო!..

დ. მაჩხანელი.

(შემდეგი იქნება.)

შელახვა განა ხელით გალახვაზედ უარესი არ არის! როდესაც ყმაწვილს „თქვენობით“ ელაპარაკება მასწავლებელი, ამ მიმართვას უნდა შეეხამებოდეს მისი შინაგანი სულიერი მდგომარეობაც, თორემ ისინი კარგად ამჩნევენ უგულო და უკმაყოფილო მიმართვას. შეიძლება მასწავლებელს უცაბედად წამოსცდა რამე საწყენი სიტყვა, მოწაფეები ამას ადვილად აპატივებენ, თუ ეს მასწავლებელი საზოგადოდ კეთილია და კარგად ექცევა მათ. მაგრამ მაინცა და მაინც უკეთესია სასწავლებლებში მისამართ სიტყვათ ხმარობდნენ „თქვენ“-ს და არა „შენს.“ ეს მოწაფეებსაც მასწავლებლისადმი პატივს უნერგავს და თვით მასწავლებელს-კი ნებას არ აძლევს სასტიკად და უმართებულოდ მოექცეს მათ („ვესტ. ვოსპ“ № 5).

## წერილი რედაქციის მიმართ.

როგორც უკვე უწყის მკითხველმა საზოგადოებამ, ოზურგეთში არსებობს ორ-კლასიანი დედათა სასწავლებელი, რომელსაც განაგებს კომიტეტი მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით. მოგეხსენებათ, რომ ისეთს რთულს და საზოგადო დაწესებულებას, როგორიც სკოლაა ბევრი საქმე აქვს, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა აგერ თითქმის ხუთი თვე გადის და ვერ ვღირსეთ, რომ ერთი სხდომა მომხდარიყო, და მაშ უკვლასთვის ცხადია, რომ სექტემბრის თვის დაწყების ხანებში საჭიროა მოხდეს ხოლმე კომიტეტის სხდომა, გადაწყვეტა გათვალისწინებაა მომავალის სამოსწავლო წლის საქმეებისა. მით უმეტეს საჭიროა სხდომის დანიშვნა, რომ არც ერთ ვალდებულ პირთაგან არ შემოდის სავალდებულო ფულები თავის დროზედ, რომელიც არის არსებობითი წყარო სკოლის არსებობისა და რომელიც არა ერთხელ გამიცხადებია სხდომაზედ.

ეხლა მაინც იმედი გვაქვს, რომ, ვისგანაც ჯერ არს, სხდომის დანიშვნას არ დაახანებს და მით შეძლებას მოგვცემს სკოლის საქმე წინ წავწიოთ.

ხაზინადარი სასწავლებლისა:

მ. ურუშაძე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 ოქტომბერი.

**პეტერბურგი**. უმაღლესად ნაბრძანებია რუსეთის ფლოტში ჩაირიცხოს სამი ჯავშნიანი გემი, რომელნიც ახლა პეტერბურგში მზადდებიან.

**პარიზი**. სენატისა და პარლამენტის პრეზიდენტებმა მადლობა გამოუცხადეს მადაგასკარზედ გაგზავნილს ჯარს. პარლამენტს წარუდგინეს 30 სხვა-და-სხვა ინტერპელაცია, რომელთა შესახებ ხვალ დაიწყება კამათი.

**ვენა**. პარლამენტში ახალმა მინისტრ-პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ მთავრობა წინააღუდგება ყოველ იმ გარემოებას, რასაც შეუძლია მშვიდობიანობის დარღვევა. მინისტრი დარწმუნებულია, რომ ამ საგანში მას ყველა დაეხმარება. ყველა სამართლიანი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნება, მაგრამ კაბინეტი ყველა შემთხვევაში უპირატეს ყურადღებას მიაქცევს კულტურით დაწინაურებულ გერმანელ ერის ინტერესებს და მის მდგომარეობას ავსტრიის იმპერიაში. რაც შეეხება ბოჰემიას, მთავრობა სრულის ნდობით უყურებს ჩეხელთ, მაგრამ გარდაწყვეტილი აქვს დამოუკიდებლად აწარმოოს ბოჰემიის შესახებ პოლიტიკა. უმთავრესი საგანი მთავრობისა არის — ხელ-ახლავ შეუთანხმდეს უნგრეთს. კაბინეტი წარმოუდგენს პარლამენტს საარჩევანო რეფორმის პროექტს და ეცდება გააუმჯობესოს დაბალის ხალხის კეთილდღეობა.

**ჰონკონგი**. ფორმოზიდგან იტყობინებიან, რომ „შავთა დროშათა“ წინამძღოლი გაქცეულა. იაპონელებმა ანნინგი დაიპყრეს.

12 ოქტომბერი.

**ვლადივოსტოკი** („ნოვ. ვრემ.“ დეპეშა). შეერთებული ესკადრები წყნარის ოკეანისა 15 ოქტომბერს იაპონიას მიდიან. კორეს საქმე საფრთხილო მდგომარეობაშია. კორეს მეფის მამა, იაპონიამ მოისყიდა და მიიმხრო. მაჰმადიანთა მღელვარება ჩინეთში ძლიერდება. მთავრობის ლაშქრის საქმე გაჭირვებულია. რაზმს, რომელიც შესდგება 60,000 კაცისაგან ებრძვის 800,000 კარგად შეიარაღებული მძვინვარე აჯანყებულნი. იაპონიის მთავრობას გულწრფელად სურს დაიცვას კორეს მშვიდობიანობა. იაპონიაში დიდი მოძრაობა იმის შესახებ, რომ რუსეთს დაუმეგობრდნენ.

**კოპენჰაგენი**. უელსის პრინცის მეუღლე თავის ქალიშვილებით და საბერძნეთის მეფის ძე ნიკოლოზ ლონდონს წავიდნენ.

**ბუხარესტი**. გენერალი შტაბის უფროსი ლაგოვარი სამსახურიდგან დაითხოვეს იმის გამო, რომ ბანქოს თამაშობის დროს ლაგოვარისა და კატარჯის, რომელიც რუსეთში ელჩად არის, ჩხუბი მოუვიდათ. ამ შემთხვევას დუელი მოჰყვა. სამხედრო მინისტრმა ასეთი საქციელი დაუსჯელად არ დააგდო, რადგანაც ჯარზედ ცუდ გავლენას იქონიებდა.

**სტამბოლი**. დიდმა ვეზირმა გაუგზავნა ვალიებს სომეხთა რეფორმების პროექტი და ამასთან დაავალა უმთავრესს კომისარს შაქირ-ფაშას, რათა უეჭველად სისრულეში იქნას მოყვანილი ხსენებული რეფორმები.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტოროჟენ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ი. ფ. ზროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაშეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზროტასევიჩი, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ზ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათმდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცე[illegible]აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში

ცხოვრება
მეფე გიორგისა

აღწერილი
პლატონ იოსელიანის მიერ.
გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.
ფასი ერთი მანეთი.

---

ახლად გამოვიდა გასასყიდად
რეინიკე კუდა-მელა
(ათის სურათით)
ნათარგმნი გ. იოსელიანის-მიერ.
გამოცემა ზაქარია გრიქუროვის წიგნის მაღაზიისა.
ისყიდება იმავე წიგნის მაღაზიაში.

ფასი წიგნისა 50 კაპ., ვინც ათს ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ნაღდად, წიგნი დაეთმობა 40 კაპ.

(5—6.—2)

---

ცხოვრება
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა ❦ ამხ. სტამბის
ფასი ერთი შაური
ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

---

ახალი გამოცემანი:
სამზარეულო
ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა
მეორე გამოცემა

ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელაების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.

ფასი მანეთ ნახევარი.

---

დაიბეჭდა მეხუთე გამოცემით
„РУССКОЕ СЛОВО“,
შედგენილი
იაკობ გოგებაშვილის მიერ.

ტექსტი წიგნისა უცვლელია, მაგრამ ას-ორმოც-და-ათი ახალი სურათი აქვს ჩართული, რვა საზავშვო ლექსი მეორე წიგნიდგან გადმოტანილია პირველს წიგნში და ბოლოში დამატებული აქვს წვრილი ხელის რუსული დედანი. ფასი წიგნისა ექვსი შაური, დაკაზმულისა—ორი აბაზი. ვინც ოც-და-ათს ან მეტს ცალს იყიდის, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად, დაკაზმული 32 კაპეიკად. (6—4).

---

L'URBAINE
УРБЭНЪ
Общество Страхованія Жизни.
Невскій пр., № 13.

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—20)

---

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
(ღუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს
გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოლასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სა[illegible]ი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)